პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 80-ე წელი

შაბათი, 3 სექტემბერი, 1949 წ. № 175 (8478). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ყოველმხრივ მოვამზადოთ საქალაქო მეურნეობა ზამთრისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ (1-ლი და მე-2 გვერდი).

ერთი საწარმოს შესანიშნავი წამოწყება (მე-3 გვერდი).

მ. მარკოვი — იაპონიის კაპიტულაციის ოთხი წლისთავი (მე-3 გვერდი).

პასუხი შეკითხვა ზე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ყოველმხრივ მოვამზადოთ საქალაქო მეურნეობა ზამთრისათვის

ადგა შემოდგომა. უკვე დროა გავაჩაღოთ მზადება ზამთრისათვის. ბევრი რამ არის გასაკეთებელი ჩვენი ქალაქების ზამთრისათვის მოსამზადებლად.

ძირითადი, რასაც მუშაობის ამ ეტაპზე მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს, ეს არის საცხოვრებელი სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დროულად ჩატარება.

საქართველოს ქალაქებში ფართოდაა გაჩაღებული საბინაო მშენებლობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო თბილისში განვლილ სამ წელიწადში ქალაქის აღმასკომმა, სამრეწველო საწარმოებმა და უწყებებმა ააგეს 24.800 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. წელს თბილისის საცხოვრებელი ფონდი 60 ათასამდე კვადრატული მეტრით გაიზრდება. საბინაო მშენებლობის საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ტყიბულისა და ზოგიერთ სხვა საქალაქო საბჭოებს. ამ ძირფასი ფონდის სათანადოდ მოვლა საქალაქო საბჭოების, სათანადო სამინისტროებისა და დაწესებულებების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

საჭიროა გავაძლიეროთ ყურადღება სახლების მიმდინარე რემონტის შესრულებისადმი. ამხანაგი კ. ჩარკვიანი ამბობს: „უნდა გვახსოვდეს, რომ სახლის დანგრევა იწყება სახურავის, წყალჩასადენი მილების უმნიშვნელო გაფუჭებით, სახლის წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის დანაგვიანებითა და დაზიანებით. ქალაქის და რაიონულ აღმასკომებს რომ საქმე ისე დაეყენებინათ, რომ ეს დეფექტები დაუყოვნებლივ სწორდებოდეს, ჩვენ შეგვეძლო ათობით მილიონი მანეთი დაგვეზოგა და საცხოვრებელი სახლები დაგვეცვა ნგრევისაგან“.

ქ. თბილისის ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომი და მისი კომუნალური განყოფილების მუშაკები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ საბინაო ფონდის დაცვასა და შენარჩუნებას. საცხოვრებელი სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმები ძათ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს. ამ წარმატებას იმის შედეგად მიაღწიეს, რომ თავის დროზე შეაკოწმეს და აღრიცხეს სარემონტო სახლები, საჭირო რაოდენობით მოიმარაგეს ხეტყე, ცემენტი, აგური, კრამიტი და სხვა სამენი მასალა, ყოველდღიური კონტროლი დააწესეს შესასრულებელ სამუშაოთა ხარისხისაღმი, რამაც გაადიდა მშენებელ მუშათა პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისათვის.

საცხოვრებელი სახლების მოვლის საქმეში თვალსაჩინო წარმატებები აქვთ აგრეთვე სოხუმისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოებს. ამ საბჭოების აღმასკომების მუშაობაში ყურადღებას იპყრობს საბჭოს მუშაკების განსაკუთრებული გულისხმიერება მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებებისადმი. არც ერთ განცხადებას და საჩივარს, რომელიც კი საცხოვრებელი ბინების რემონტს ეხება, იქ უყურადღებოდ არ ტოვებენ, სათანადო შემოწმების შედეგ გზავნიან შემკეთებელ ბრიგადებს და არემონტებენ სახლებს.

სამწუხაროდ, ზოგიერთი საქალაქო საბჭოს აღმასკომი კმაყოფილდება საცხოვრებელი შენობის ფასადის შეკეთებით და არც კი ამოწმებს შესაკეთებელია თუ არა სახლის სახურავი, კიბეები, ღუმელები, კარ-ფანჯრები, წყალსადენისა და კანალიზაციის მილები. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ „კომუნისტის“ რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილში ქ. თბილისის მოლოტოვის რაიონის სალომეის შესახვევში მდებარე № 7 სახლის მობინადრეები იწერებოდნენ, რომ ორსართულიანი კომუნალური საცხოვრებელი სახლი სერიოზულ რემონტს მოითხოვდა. სახურავი სრულ შეკეთებას საჭიროებდა, კედლები ავარიულ მდგომარეობაში იყო, წყალსადენის მილების დაზიანების გამო სახლის საძირკველი ფუჭდებოდა და სხვ. საქმეს თითქოს მსვლელობა მიეცა. მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომმა მიიღო ზომები ამ სახლის შესაკეთებლად და გარკვეული თანხაც გადასდო. რემონტიც ჩატარდა, გადადებული თანხა „ათვისებულ“ იქნა, მაგრამ სახლის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომის სარემონტო კანტორის მუშაკთა უპასუხისმგებლობის მედეგად ეს კომუნალური სახლი კვლავ ავარიულ მდგომარეობაშია. მსგავსი ფაქტები თბილისის ბერიას და კიროვის სახელობის რაიონებშიც არის. ეს მოწმობს, რომ რემონტის ხარისხს სათანადო ყურადღება არ ექცევა.

ზამთრისათვის საცხოვრებელი ბინების ყოველმხრივ მომზადება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების მუშაკთა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ახლა, როდესაც ფართოდ ჩაღდება ქ. თბილისის ლენინის რაიონული საბჭოს ინიციატივით წამოწყებული სოციალისტური შეჯიბრება საქალაქო საბჭოებს შორის, ზამთრისათვის საქალაქო მეურნეობის მომზადების საკითხმა ერთ-ერთი მთავარი ადგილი უნდა დაიჭიროს შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებში. თავდადებული ბრძოლა ამ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის უნდა გახდეს საბჭოებისა და მათი კომუნალური განყოფილებების ყოველი მუშაკის პირველი რიგის ამოცანა.

საქალაქო მეურნეობის ზამთრისათვის ყოველმხრივ მომზადება ნიშნავს საცხოვრებელი ბინების მაღალხარისხოვან რემონტთან ერთად ქალაქის მოსახლეობა უზრუნველყოთ სათბობით. ამ მხრივ თბილისის საქალაქო საბჭოს სათბობის ტრესტმა შარშანდელთან შედარებით წელს გაცილებით უკეთ მოაწყო მუშაობა. თბილისში დღისათვის შემოზიდულია ზამთრისათვის გეგმით გათვალისწინებული შეშის 60 პროცენტზე მეტი. რადგან ტრესტს შეშის დამზადების გეგმა ადგილებზე გადაჭარბებით აქვს შესრულებული, მან ახლავე გადაძრელი ზომები უნდა მიიღოს იმისათვისაც, რომ შემოზიდვის გეგმა სიცივეების დაწყებამდე შეასრულოს.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად საჭიროა ზამთრის დაწყებამდე სრულ წესრიგზე მოვიყვანოთ ტრამვაისა და ტროლეიბუსის ხაზები, წყალსადენის ქსელი, კანალიზაცია, აბანოები, სასტუმროები და საავადმყოფოები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დაზამთრებამდე დამთავრდეს ქუჩებისა და ტროტუარების რემონტი, ხეებისა და ბუჩქების საშემოდგომო დარგვა.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ზამთრისათვის სავაჭრო ორგანიზაციების მომზადებას. მათი ამოცანა უპირველეს ყოვლისა ის არის, რომ ქალაქის მოსახლეობისათვის უზრუნველყონ კარტოფილისა და ბოსტნეულის დროულად შემოზიდვა. როგორც ცნობილია, წელს ბოსტნეულის და კარტოფილის უხვ მოსავალს იღებენ ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობები და კოლმეურნეები. ამ მოსავლის უდანაკარგოდ აღება, მისი დანიშნულებისამებრ მიტანა დამამზადებელ პუნქტებამდე და საწყობებამდე სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. საქალაქო საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან ახლავე შეამოწმონ — სათანადო ორგანიზაციებს მზად აქვთ თუ არა ბოსტნეულის შესანახი საწყობები, როგორ მდგომარეობაშია ისინი, და საჭიროების შემთხვევაში მიიღონ ზომები სასაწყობო მეურნეობის წესრიგზე მოსაყვანად.

საქალაქო მეურნეობის ზამთრისათვის მომზადების საკითხი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. ისინი მოვალენი არიან თავიანთი ყოველდღიური კონტროლის ქვეშ იქონიონ მათი ქვემდებარე საქალაქო მეურნეობის ცალკე დარგების ხელმძღვანელთა მთელი საქმიანობა, ეხმარებოდნენ მათზე დაკისრებული ამოცანების წარმატებით შესრულების საქმეში.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან. ზამთრისათვის ქალაქების სანიმუშოდ მომზადებაში კვლავ უნდა გამოვლინდეს მათი ორგანიზატორული როლი. ამ საქმეში მათ ფართოდ უნდა ჩაებან დეპუტატები.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის საქალაქო საბჭოები ამ საპატიო ამოცანას წარმატებით გადასჭრიან.

კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება

ვინ გაიმარჯვებს?

აფენის მტს-მა (დირექტორი ი. კავსაძე) მოსავლის აღების გეგმა 88 ჰექტარის გადაჭარბებით შეასრულა. კომბაინერმა **ალექსანდრე მაგაევმა** გეგმით გათვალისწინებული 200 ჰექტარის ნაცვლად უზრუნველყო 278 ჰექტარი პურეულის აღება. კომბაინერმა **ამბროსი ცერცვაძემ** 208 ჰექტარი პურეული აიღო, გეგმა კი 200 ჰექტარს ითვალისწინებდა. კომბაინერ **გიორგი ჭუმბურიძეს** აღებული აქვს 204 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200 ჰექტარისა.

ქარელის მტს-მა პურეულის მოსავლის აღების გეგმას 42 ჰექტარით გადაჭარბა. კომბაინერ **ს. სულეიმანაშვილს** აღებული აქვს 202 ჰექტარი პურეული, ნაცვლად 190 ჰექტარისა, **შ. გოჩაშვილს**—200 ჰექტარი გეგმით გათვალისწინებული 170 ჰექტარის ნაცვლად.

წარმატებებს აღწევს **სტალინირის მტს-ის** კომბაინერი **პ. მირონიკოვი**. მას აღებული აქვს 240 ჰექტარი პურეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200 ჰექტარისა.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის ბრძანებულების შესაბამისად, **ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა** და **ციტრუსოვანთა ნაყოფის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წელს შტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმები და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს medali **„ნამგალი და ურო“**:

114. **მშვიდობაძეს** მატრონე მიხეილის ასულს — ლანჩხუთის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.074 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

115. **ნაკაიძეს** გრიგოლ აკაკის-ძეს — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს, რომელმაც 34 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.202 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

116. **ნაკაშიძეს** ჰურიე რეჯების ასულს — ქობულეთის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.017 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

117. **ნანავას** დაფინო ერასტის ასულს — ზუგდიდის რაიონის რუხის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 8.940 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

118. **ნეანდიის** ფეოფილაქტ ქრისტეფორეს-ძეს — ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 400 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.224 მანდარინი.

119. **ნემსაძეს** გულვარდი ჰასანის ასულს — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.058 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

120. **ნემსაძეს** ბესირე სულეიმანის ასულს — ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.321 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

121. **ნოღაიდელს** ეთერი მამედის ასულს — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 11.474 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

122. **ნოღაიდელს** ბესირე ნურის ასულს — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.113 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

123. **ოტიაშვილს** მერიკო ჰასანის ასულს — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.259 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

124. **პავლიდის** კალიოპ ანესტის ასულს — ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.619 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

125. **პარასკევოპულოს** მარიამ ივანეს ასულს — ბათუმის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.360 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

126. **ფარცვანიას** ადელინა მალხაზის ასულს — ზუგდიდის რაიონის რუხის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.633 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

127. **პოლიტოვს** ვასილ გიორგის-ძეს — ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ მერგოლურს, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.102 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

128. **ფონიას** ნადია პლატონის ასულს — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.286 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

129. **როგავას** ამბაკო სპირიდონის-ძეს — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 6,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.128 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

130. **როდინაძეს** ჰურიე ჰუსეინის ასულს — ბათუმის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.238 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

131. **სალვარიდის** სტილიან ივანეს-ძეს — ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 2,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.098 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

132. **სამუშიას** კირილე ტვირის-ძეს — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს, რომელმაც 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.087 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

133. **სანიკიძეს** ნატალია თომას ასულს — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.393 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

134. **სარსანიას** ქსენია პავლეს ასულს — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ მერგოლურს, რომელმაც 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.359 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

135. **სომვულიდის** სოფიო დიმიტრის ასულს—ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 7.957 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

136. **სილოგავას** ლაუსია თეიმურაზის ასულს—გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.660 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

137. **სიხარულიძეს** ილია მიხეილის-ძეს — ჩოხატაურის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 42,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

138. **ტაკიძეს** ემენი პართენის-ძეს — პარტიის ქობულეთის რაიონული კომიტეტის მდივანს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 19,5 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

139. **ტაკიძეს** თუნთულ იუსუფის ასულს—ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.397 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

140. **ტაკიძეს** ჰურიე იუსუფის ასულს — ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.116 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

141. **თალაკვაძეს** ალექსანდრე მიხეილის-ძეს — მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „ახალგაზრდა კომუნისტის“ აგრონომს, რომელმაც 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.087 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

142. **თოიძეს** ოლღა ბარნაბის ასულს — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.142 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

143. **ტუღუშს** თამარ კუპრიანის ასულს — მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „ახალგაზრდა კომუნისტის“ მერგოლურს, რომელმაც 2,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.387 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

144. **ტუღუშს** ნელი კირილეს ასულს — ლანჩხუთის რაიონის საბჭოთა გმირების სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.146 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

145. **ხარატს** ნათელა ვლადიმერის ასულს — მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „ახალგაზრდა კომუნისტის“ წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.020 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

146. **ხარებავას** ნესტორ იასონის-ძეს—ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის“ მერგოლურს, რომელმაც 2,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.152 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

147. **ხასიას** ივლიტა ტარასის ასულს—ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.871 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

148. **ხახუტაშვილს** რეხიმე სკენდერის ასულს — ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.013 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

149. **ხვინგიას** ხუტა გერასიმეს ასულს—ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.055 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

150. **ხვინგიას** ლენა გერასიმეს ასულს—ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.326 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

151. **ხვიჩიას** ნაზიკო ჰუსეინის ასულს—ქობულეთის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.132 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

152. **ხელაძეს** დომიდე სევოდის-ძეს—პარტიის ბათუმის რაიონული კომიტეტის მდივანს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 15,2 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“, № 173, 174.

სოციალისტური შრომის გმირები

ნ. ი. ღლონტი

ლანჩხუთის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.136 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

მ. ჯ. გოგიტიძე

ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 8.589 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ე. მ. გოგიტიძე

ქობულეთის რაიონის ხუცუბნის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.123 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



ა. ჯ. ბერიძე

ბათუმის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0.5 ჰექტარ ფართობზე 6.240 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

სოციალისტური შრომის გმირები



ი. ბ. მირცხულავა

სოხუმის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 105,8 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

პ. ი. კვანტრიშვილი

ზესტაფონის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8,2 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე 75 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ზ. ვ. კიკნაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,7 პროცენტის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის.

ა. კ. ტერზიანი

გაგრის რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 4,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 26,1 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

(დასასრული)

153. **ხეცურიას** ლუბინა ხინდიგოს ასულს—გალის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.120 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

154. **ხინთიბიძეს** ნატაშა დავითის ასულს—მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „ახალგაზრდა კომუნისტის“ წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.395 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

155. **ხიონიდის** ხრისტესა შიხეილის ასულს — ქობულეთის რაიონის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.004 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

156. **ხიტირს** შალვა არჩილის-ძეს—პარტიის ლანჩხუთის რაიონული კომიტეტის მდივანს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 25,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

157. **ხუნდაძეს** გრიგოლ გრიგოლის-ძეს—ლანჩხუთის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარ აგრონომს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 25,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

158. **ხურციძეს** ლუდმილა იოსების ასულს—მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 7.710 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

159. **ხურციძეს** თინა იასონის ასულს — მახარაძის რაიონის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.204,2 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

160. **წიქარიძეს** ახმედ რამიზის-ძეს—ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 250 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 488 ლიმონი.

161. **წიქარიძეს** ოსმან შაქირის-ძეს — ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 250 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 468 ლიმონი.

162. **ჩამბას** ზარა ახმედის ასულს—ბათუმის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.197 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

163. **ჩამბას** მერიემ სულეიმანის ასულს—ბათუმის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.232 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

164. **ჭანკურიძეს** სკანდერ ჰასანის-ძეს—ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 15,2 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

165. **ჭანუყვაძეს** შოთა ილარიონის-შვილ — პარტიის ჩოხატაურის რაიონული კომიტეტის მდივანს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 42,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

166. **ჭელებაძეს** სურიე თემრის ასულს — ქობულეთის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.450 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

167. **ჭელებაძეს** სურიე ასლანის ასულს—ქობულეთის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.750 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

168. **ჭელებაძეს** ფადიმე მგელუდის ასულს — ქობულეთის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 7.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

169. **ჭითანავას** მარიამ ნიკოლოზის ასულს — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.607 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

170. **ჭითანავას** ლენა კონსტანტინეს ასულს—ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 10.426 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

171. **ჭითანავას** მარიამ სოფრომის ასულს — ხობის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 255 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 457 ლიმონი.

172. **ჭკადუას** ოლღა პეტრეს ასულს — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.435 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

173. **ჭყონიას** მერიემ ჰასანის ასულს — ქობულეთის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 7.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

174. **ჩუხუას** ალუშა ერმალოზის ასულს — ზუგდიდის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.200 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

175. **ჩუხუას** ცხუცხუ იასონის ასულს — ზუგდიდის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.630 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

176. **ჩხაიძეს** ბარბარე მელიტონის ასულს — ლანჩხუთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.179 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

177. **ჩხაიძეს** შურა მელიტონის ასულს—ლანჩხუთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.510 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

178. **ჩხაიძეს** ევროსი გერასიმეს ასულს—ლანჩხუთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.377 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

179. **ჩხაიძეს** ტატიანა ნესტორის ასულს — მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.593 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

180. **ჩხაიძეს** ეკატერინე ივანეს ასულს — მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.428 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

181. **ჩხაიძეს** მაშო ესეს ასულს — მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.154 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

182. **ჩხარტიშვილს** ილია კალისტრატეს-ძეს — ლანჩხუთის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 25,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

183. **ჩხარტიშვილს** გალინა სამსონის ასულს — ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 2,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.733 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

184. **შავიშვილს** ქიაზმი ოსმანის-ძეს — ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 400 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.382 მანდარინი.

185. **შავიშვილს** რაიკა მუჰამედის ასულს — ქობულეთის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.239 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

186. **შაქარიშვილს** გული ალის ასულს — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.101 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

187. **შამათავას** ალა დათუას ასულს — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 8.900 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

188. **შამათავას** ვალენტინა აკაკის ასულს — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.276 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

189. **შამელიშვილს** კევსერ ჰასანის ასულს — ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.347 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

190. **შარაშიძეს** გალაქტიონ ესეს-ძეს — ჩოხატაურის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარ აგრონომს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 42,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

191. **შარაშიძეს** ფადიმე ახმედის ასულს — ქობულეთის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.700 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

192. **შენგელიას** ჩუტა მიხეილის ასულს—ზუგდიდის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.470 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

193. **ემინაძეს** ხატიჯე მამუდის ასულს—ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვორონეშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.085 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

194. **იაკუნაძეს** ლურსუნ რუშენის-ძეს — ბათუმის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 1.500 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 370 ფორთოხალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 29 აგვისტო.

ახალგაზრდული რგოლი წარმატებით მუშაობს

თბილისი. (სპეც. კორ.). გუდანელების მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადაში წელს ჩამოყალიბდა ახალგაზრდული რგოლი. რგოლს, რომელშიც 15 კომკავშირელია გაერთიანებული, კომკავშირელი ვლ. ბასილაური ხელმძღვანელობს.

კოლმეურნეობის გამგეობამ ახალგაზრდებს 10 ჰექტარი სიმინდისა და 2 ჰექტარი კარტოფილის ნაკვეთი მიუჩინა. ახალგაზრდებმა ვალდებულება იკისრეს თვითეულ ჰექტარზე 18 ცენტნერის ნაცვლად 70 ცენტნერი სიმინდი მიეღოთ. ამ ვალდებულების გასაღებლად კომკავშირელებმა ენერგიული მუშაობა გააჩაღეს. მათ სამჯერ გათოხნეს სიმინდი, მორწყეს წუნწუხით, გაჭრეს არხი და მოაწყეს მორწყვა. სიმინდის ნათესები ჩინებულად გამოიყურება.

უხვი მოსავლისათვის მებრძოლ ახალგაზრდულ რგოლში მუშაობის მისაბაძ მაგალითს იძლევიან დები სარა და ერმონა ბასილაურები და ვ. ქისტაური.

მოწინავე მეთამბაქოე

ზუგდიდი. (საკ. კორ.). სოფელ დარჩელის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრ ბაბილინა სამსონის ასულ დავითაიას 11 შვილი ჰყავს. მათგან ოთხი—7 წლისაზე ნაკლები ასაკისაა, ხოლო 5—სკოლაში სწავლობს.

11 შვილის დედა მოწინავე მეთამბაქოეა. გასულ წელს მან მისთვის მიჩენილი 0,3 ჰექტარი თამბაქოს პლანტაციიდან უხვი მოსავალი მოიყვანა და პრემია-წანამატი მიიღო. ბ. დავითაიას წელსაც თამბაქოს იმდენივე პლანტაცია აქვს მიჩენილი და საუკეთესო წარმატებას აღწევს. იგი ამჟამად მასზე მიმაგრებული 0,3 ჰექტარიდან 7 ცენტნერი თამბაქოს მოსავლის მიღებისათვის იბრძვის.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 2 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად **ყურძნის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წელს მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმები და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, **დაჯილდოებულ იქნან:**

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

157. **ორფინოვი** დავით არტემის-ძე—გურჯაანის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

158. **ოსკანოვი** ივანე არტემის-ძე — გურჯაანის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

159. **პავლიაშვილი** გიორგი ილიას-ძე — გურჯაანის რაიონის ველისციხის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

160. **პაპაშვილი** არჩილ სოლომონის-ძე — თეთრი წყაროს რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

161. **პაპაშვილი** ზაქარია ივანეს-ძე—კაჭრეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

162. **პაპუაშვილი** შაქრო დავითის-ძე — გურჯაანის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

163. **ფიროსმანიშვილი** ივანე ვასოს-ძე — წითელწყაროს რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

164. **რამაზაშვილი** გიორგი თევდორეს-ძე — კაჭრეთის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

165. **რევაზაშვილი** ივანე გრიქულას-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი უბნის“ წევრი.

166. **რევაზაშვილი** სიმონ გრიქულას-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი უბნის“ წევრი.

167. **რობაქიძე** პავლე იპოლიტეს-ძე — ზესტაფონის რაიონის სვირის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

168. **როსტომაშვილი** შალვა ნიკოლოზის-ძე — გურჯაანის რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

169. **როხვაძე** ამბროსი პავლეს-ძე — ვანის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

170. **რუაძე** სიმონ გიორგის-ძე—გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „გუთნის“ წევრი.

171. **სადღობელაშვილი** მიხეილ გიორგის-ძე — საჩხერის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

172. **სარქისოვი** გეურქ გიორგის-ძე—გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრი.

173. **სარუხანოვი** გიგა მელქოს-ძე—გურჯაანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

174. **სახამბერიძე** ვლადიმერ ლეონტის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

175. **სახამბერიძე** ივანე ილიას-ძე — მაიაკოვსკის რაიონის დიმის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

176. **სახამბერიძე** რაჟდენ დიმიტრის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

177. **სვანიძე** ალექსი სილოვანის-ძე—ვანის რაიონის კოლმეურნეობა „დამკვრელის“ წევრი.

178. **სიბაშვილი** ვლადიმერ იასონის-ძე — გურჯაანის რაიონის ვეჯინის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

179. **სილაგაძე** ერისტო ალექსის-ძე — ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „დამკვრელის“ წევრი.

180. **სიმონიშვილი** ილია ალექსანდრეს-ძე — გურჯაანის რაიონის ვეჯინის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

181. **სოსელიშვილი** იოსებ სტეფანეს-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრი.

182. **სულაშვილი** ზაქარია ქიტესას-ძე — წითელწყაროს რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

183. **სულხანიშვილი** გიორგი ზაქარიას-ძე — გურჯაანის რაიონის ველისციხის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

184. **სულხანიშვილი** ზაქარია გიორგის-ძე — გურჯაანის რაიონის ველისციხის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

185. **ტაბატაძე** დარო ზურაბის ასული — ზნაურის რაიონის საქართველოს ცაკის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

186. **ტაბატაძე** სიკა გიორგის-ძე — ზნაურის რაიონის საქართველოს ცაკის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

187. **თაბუკაშვილი** ვარდენ ლევანტის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობის „კომუნისაკენ“ წევრი.

188. **თავბერიძე** გიორგი ეზიკიას-ძე — ვანის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

189. **თაზიაშვილი** გიორგი მიხეილის-ძე — გურჯაანის რაიონის ველისციხის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

190. **ტალახაძე** ანა სოლომონის ასული — ზესტაფონის რაიონის ხოზე დიასის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

191. **ტატიაშვილი** ალექსი ნიკოლოზის-ძე—გურჯაანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

192. **ტატიაშვილი** არშაკ მელიქის-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრი.

193. **ტეტიაშვილი** გიორგი კონსტანტინეს-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ წევრი.

194. **ტყეშელაშვილი** ლავროსი ვლადიმერის-ძე — ვანის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენის“ წევრი.

195. **ტყეშელაშვილი** მიხეილ ალექსანდრეს-ძე — ვანის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენის“ წევრი.

196. **ტოგონიძე** გიორგი ნიკოლოზის-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „ჩვენი იმედის“ წევრი.

197. **თუთაშვილი** ანეპოდისტე ბესარიონის-ძე—ვანის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენის“ წევრი.

198. **თუთაშვილი** გიორგი ლაზოს-ძე —გურჯაანის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

199. **თუთაშვილი** ივანე ზაქარიას-ძე —გურჯაანის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

200. **ხაზალაშვილი** გიორგი პავლეს-ძე—გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „გუთნის“ წევრი.

201. **ხალათაშვილი** ნიკოლოზ არუთინის-ძე—გურჯაანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

202. **ხარაზიშვილი** ივანე საქულას-ძე —გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრი.

203. **ხარებაშვილი** გუგული ივანეს-ძე —კაჭრეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

204. **ხაჩიშვილი** ლადო ნიკოლოზის-ძე—გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების“ წევრი.

205. **ხეჩიაშვილი** მიხეილ სოლომონის-ძე—ყვარლის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

206. **ხმალაძე** ვიქტორ ზაქარიას-ძე—მაიაკოვსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

207. **ხუნდაძე** გიორგი ბათლომეს-ძე — ვანის რაიონის კოლმეურნეობის „გზა სოციალიზმისაკენ“ წევრი.

208. **ხურციძე** აფრასიონ გერმანეს-ძე — ვანის რაიონის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

209. **ხურციძე** ვლადიმერ ივლიანეს-ძე— ვანის რაიონის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

210. **ხურციძე** ნიკოლოზ ამბროსის-ძე—ვანის რაიონის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

211. **ცერცვაძე** სიმონ გიორგის-ძე—გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

212. **ციცრიაშვილი** სირანა ნიკოლოზის ასული—თელავის რაიონის კოლმეურნეობა „მოწინავის“ წევრი.

213. **ცოტნიაშვილი** სერგო სოსოს-ძე — სტალინირის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

214. **ცუცქირიძე** დავით ზაქარიას-ძე —ორჯონიკიძის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

215. **ჩაბრაძე** იოსებ დიმიტრის-ძე — საჩხერის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

216. **ჩაბრაძე** ლევან ედიშერის-ძე — საჩხერის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

217. **ჭაბუკიანი** ესტატე ანტონის-ძე —ცაგერის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

218. **ჭავჭავაძე** ილია სიმონის-ძე — ზნაურის რაიონის საქართველოს ცაკის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

219. **ჭიღვარია** ნადია ქვირიას ასული —ცაგერის რაიონის კოლმეურნეობის „ახალი გზით“ წევრი.

220. **ჭილაძე** არტემ ზურაბის-ძე — საჩხერის რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

221. **ჭილაძე** გივი ვარდენის-ძე — საჩხერის რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

222. **ჭყონია** გიორგი ექვთიმეს-ძე — მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობის „კომუნისაკენ“ წევრი.

223. **ჭოტიშვილი** ზაქარია თადიას-ძე —გურჯაანის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

224. **ჭრელაშვილი** იგორ ლევანის-ძე —მაიაკოვსკის რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

225. **ჩხიკვაძე** დავით სიმონის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

226. **შანყულაშვილი** ნიკოლოზ გიორგის-ძე—კაჭრეთის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

227. **შოშიაშვილი** გიორგი მიხეილის-ძე—გურჯაანის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1949 წლის 9 აგვისტო.

*) დასასრული იხ. „კომუნისტი“ №№ 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 172, 174.

ერთი საწარმოს შესანიშნავი წამოწყება

(ტექნიკური კონფერენცია ავტოსარემონტო ქარხანაში)

საწარმოო მოწყობილობის შეუფერხებელი მუშაობისა და მისი გამოყენების კოეფიციენტის ზრდისათვის ამჟამად ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია საერთო-სახალხო მოძრაობა. ჩვენი მეცნიერები, კონსტრუქტორები, ტექნოლოგები, მოწინავე სტახანოველები — სოციალისტური შრომის ნოვატორები მაღალი წარმადობის ახალ-ახალ მანქანებსა და დაზგებს ქმნიან და ამავე დროს შეაქვთ გაუმჯობესებანი ძველსა და ახალ მოწყობილობაში, წინ წევენ წარმოების ტექნოლოგიას, ამაღლებენ წარმოების კულტურას.

ამ მიმართულებით ბევრი რამ კეთდება საქართველოს დედაქალაქის საწარმოებშიც. ამას წინათ შესანიშნავი საქმის ინიციატორად გამოვიდა თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ტექნოლოგი გიორგი ქოქრაშვილი. მოწყობილობის გამოყენებაზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ იგი დაარწმუნა, რომ ქარხანაში მოქმედ დაზგებს, მანქანებს და აგრეგატებს შეუძლიათ გაცილებით მეტი პროდუქციის მიცემა, ვიდრე გვაძლევენ. ამისათვის საჭიროა თვითეულ დაზგაზე მუშაობის ისეთი მეთოდის შერჩევა, რომ მოვახერხოთ ამ დაზგის სრული სიმძლავრით ათვისება.

მოწყობილობის და პირველ რიგში ლითონსაჭრელი დაზგების ნაყოფიერების გასაადიდებლად ამხ. ქოქრაშვილმა შეიმუშავა მთელი რიგი წინადადებანი, მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა თვითეული დაზგისათვის პასპორტის შედგენა და მოწყობილობის ნაყოფიერების გადიდების საერთო-საქარხნო გეგმის შემუშავება.

ქარხნის კოლექტივმა აქტიურად დაუჭირა მხარი ტექნოლოგ ქოქრაშვილის პატრიოტულ თაოსნობას. სპეციალისტებმა, ოსტატებმა, სტახანოველმა მუშებმა თავიანთ სამოქმედო უბანში გულდასმით შეამოწმეს მანქანები, კრიტიკულად შეაფასეს მისადმი დამოკიდებულება, წამოაყენეს ახალი წინადადებანი. ამ წინადადებათა საფუძველზე შედგენილ იქნა საწარმოო მოწყობილობის ნაყოფიერების გადიდების, მისი უკეთესად გამოყენების საერთო-საქარხნო გეგმა, რომელიც ამას წინათ ტექნიკურ კონფერენციაზე განიხილეს და მოიწონეს.

საერთო-საქარხნო გეგმა მოიცავს ყველა იმ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება წარმოების კულტურის ამაღლებასთან ერთად დიდად გაზრდის მოწყობილობის ნაყოფიერებას და პროდუქციის გამოშვებას. გეგმა ითვალისწინებს 60-ზე მეტი ტექნიკური ღონისძიების განხორციელებას.

ქარხანაში შექმნილია ყველა პირობა რაციონალიზატორული და საგამმგზავნო მუშაობის განვითარებისათვის. მუშების რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით ქარხანამ წელს 200 ათასი მანეთი ეკონომია მიიღო. ახლა ტარდება რაციონალიზატორულ წინადადებათა შეგროვების ერთთვიური: უკვე შეგროვებულია 22 წინადადება, რომელთა უმრავლესობა დაზგების გამოყენების გაუმჯობესებას ეხება.

16 წლის განმავლობაში ერთ დაზგაზე მუშაობამ სტახანოველი ზეინკალი ამხ. აბრამოვი დაარწმუნა, რომ არ შეიძლება სრული სიმძლავრით გამოიყენო დაზგა, თუ მას თვალისჩინივით არ უფრთხილდები, თუ დანაგვიანებული და მოუწყობელია სამუშაო ადგილი.

საინტერესო წინადადებანი წამოაყენა საინსტრუმენტო საამქროს სტახანოველმა ზეინკალმა ნ. ტიშჩენკომ. უკანასკნელ წლებში თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში ფართოდ გავრცელდა ჭანჭიკის, ქანჩის, ხრახნილის, მოქლონისა და სხვა წვრილმანი საავტომობილო დეტალის ცივი დატვიფრა, რამაც დიდად შეამცირა ამ დეტალთა დამზადებისათვის საჭირო დრო. ამ მიმართულებით ბევრის გაკეთება შეიძლება ძომავალშიც. კერძოდ, ზეინკალი ტიშჩენკო ითვალისწინებს იმ ჭანჭიკების დატვიფრაზე გადასვლას, რომელთა გამოჭრა ამჟამად სახარატო დაზგაზე წარმოებს. მან საკითხი დააყენა აგრეთვე საინსტრუმენტო საამქროს სჭვალის დამამზადებელი დაზგა-ავტომატის სამჭედლო საამქროსათვის გადაცემის შესახებ, სადაც ამ დაზგას უფრო ნაყოფიერად გამოიყენებენ.

სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო საინსტრუმენტო საამქროში ცდებოდა ბრტყელად სახეხი, საჭრისსალესი და ბურღსალესი დაზგები. ახლა ადგილობრივ გამონახეს საჭირო ნაწილები და ეს დაზგები სრული დატვირთვით მუშაობენ. აქვე დიდხანს უმოქმედოდ იდგა სალესი ჩარხი. მასაც გაუკეთდა სპეციალური მოწყობილობა და ახლა იგიც მოქმედებს.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. გამოუყენებელია, მაგალითად, სახარატო-პრეციოზული დაზგა. სატვიფრო განყოფილებაში გადატვირთულია პირველი წნეხი, მაშინ როცა სხვა წნეხები ნაკლებად არიან დატვირთული.

მოწყობილობის მაქსიმალური ნაყოფიერებით გამოყენებისათვის აუცილებელია მუშების უზრუნველყოფა მაღალხარისხოვანი ხელსაწყოთი. ავტოსარემონტო ქარხანაში დღემდე მუშებს დაბალი ხარისხის ხელსაწყოთი ამარაგებდნენ. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად უკვე მიღებულია ზომები.

ავტოსარემონტო ქარხანაში ყველა მანქანა და დაზგა არ არის გამოყენებული სრული დატვირთვით და დანიშნულებისამებრ. ამასთან საწყობში აქვთ ისეთი დაზგები და სამრეწველო მოწყობილობა, რომლებიც აქ საჭირო არაა, ხოლო ამავე დროს მათზე დიდია მოთხოვნილება სხვა ქარხნებში. ამ მხრივ თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა გამონაკლისს არ წარმოადგენს. ასეთივე მდგომარეობაა სხვა საწარმოებშიც. მოწყობილობის უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის ამხ. ქოქრაშვილს საჭიროდ მიაჩნია სამეურნეო წლის ბოლოს ფაბრიკა-ქარხნებმა ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოს წარუდგინონ ანგარიში მოწყობილობის გამოყენების შესახებ თვითეული დაზგის ზომა-ტიპის მიხედვით. ამ ანგარიშის მიხედვით ხელმძღვანელი ორგანოები ახალი წლიდან საწარმოთა შორის გადაანაწილებენ მოწყობილობას.

მ. აროშიძე

კურეეულის მოსავლის აღება

აგვისტოს უკანასკნელ ხუთდღიურში საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში აღებულია 7.394 ჰექტარი პურეული, სულ კი 1 სექტემბრისათვის 309.829 ჰექტარი. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 92,7 პროცენტით.

აჭარის ასს რესპუბლიკაში პურეულის აღების გეგმა 71,2 პროცენტით არის შესრულებული, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 84,8, წყალტუბოს რაიონში — 99,0, მაიაკოვსკის — 99,5, ჭიათურის—97,5, საჩხერის — 99,6, ონის — 92,1, ქლუხორის — 92,4, ახალქალაქის — 94,7, ბოგდანოვკის — 60,2, ადიგენის — 98,7, გორის — 98,5, ბორჯომის — 51,4, წალკის — 26,0, დუშეთის — 92,7, თეთრი წყაროს — 97,9, თიანეთის — 97,6, მცხეთის — 98,5, საგარეჯოს რაიონში — 98,9 პროცენტით.

მზრალად ხვნა

1 სექტემბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში მზრალად მოხნულია 39.650 ჰექტარი, აქედან აგვისტოს უკანასკნელ ხუთდღიურში — 8.852 ჰექტარი. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 26,4 პროცენტით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში დავალება 24,7 პროცენტით არის შესრულებული, ახალქალაქის რაიონში — 32 პროცენტით, ბოგდანოვკის — 41,8, ახალციხის — 26,7, ადიგენის — 30,8, ასპინძის — 29, ხაშურის — 39,2, ქარელის — 41,3, გორის — 18,6, კასპის — 4,9, ბორჯომის — 8,6, წალკის—32,5, დუშეთის — 22,2, თეთრი წყაროს — 10,5, თიანეთის—4,4, გურჯაანის — 50,6, კაჩრეთის — 16, სიღნაღის — 11,4, წითელწყაროს — 34,2, თელავის — 18,9, ახმეტის — 33,4, ყვარლის — 42,9, ლაგოდეხის — 33,4, თბილისის — 12,1, მცხეთის — 4,2, გარდაბნის — 19,9, მარნეულის — 10,9, ბოლნისის — 9,2, საგარეჯოს რაიონში — 18,1 პროცენტით.

სიმინდის, კარგოფილის, მზესუმზირასა და თამბაქოს ახალი მოსავალი

საქართველოს კოლმეურნეობებში 1 სექტემბრისათვის აღებული იყო 2.221 ჰექტარი სიმინდი, 774 ჰექტარი კარტოფილი, 4.483 ჰექტარი მზესუმზირა, შეტეხილია 84.879.015 ზონარმეტრი თამბაქო.

სიმინდი თეთრი წყაროს რაიონში აღებულია 1.772 ჰექტარი, სიღნაღის — 286, ბორჯომის — 125, კაჩრეთის — 22, საგარეჯოს რაიონში — 16 ჰექტარი.

კარტოფილის მოსავლის აღების რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 4,1 პროცენტით. აფხაზეთის კოლმეურნეობებში დავალება 38,3 პროცენტით არის შესრულებული, ქუთაისის — 5. ხაშურის — 15,2, ქარელის — 4, ბორჯომის — 2,4, თეთრი წყაროს — 15,9, გურჯაანის — 47,2, კაჩრეთის — 77,3, სიღნაღის — 100, ახმეტის — 47,5, ლაგოდეხის — 28, თბილისის — 22, მარნეულის — 11,4, ბოლნისის — 38,5, საგარეჯოს რაიონში — 12 პროცენტით.

მზესუმზირა აგვისტოს უკანასკნელ ხუთდღიურში აღებულია 1.146 ჰექტარი, სულ 1 სექტემბრისათვის კი — 4.483 ჰექტარი. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 25,5 პროცენტით. კაჩრეთის რაიონში გეგმა 59,6 პროცენტით არის შესრულებული, წითელწყაროს — 29,6, სიღნაღის — 26,1, გურჯაანისა და ყვარლის — 22,6, ლაგოდეხის — 21,5, თბილისის — 13,1, თეთრი წყაროს — 4,4, საგარეჯოს რაიონში — 1,2 პროცენტით.

თამბაქო რესპუბლიკის კოლმეურნეობებში აგვისტოს უკანასკნელ ხუთდღიურში შეტეხილია 13 მილიონ ზონარმეტრზე მეტი. 1 სექტემბრისათვის გეგმა შესრულებულია 58,4 პროცენტით. აფხაზეთში დავალება 55,4 პროცენტით არის განაღდებული, აჭარაში—27,4, ზუგდიდის რაიონში — 61, ჩოხატაურის — 33,5, სიღნაღის — 55,5, ყვარლის — 78,8, ლაგოდეხის — 74,9, მარნეულის — 59,3, ბოლნისის რაიონში — 83,9 პროცენტით.

ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის პირველი სექტემბრის ცნობებით)

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წარსულსა	აგვისტოს ჩაის ფოთლის დამზადებისას
ბათუმი	78,4	62,0
ქობულეთი	78,7	59,8
სულ აჭარაში	**78,7**	**60,3**
გალი	89,1	68,2
ოჩამჩირე	90,3	81,9
გულრიფში	93,0	48,3
სოხუმი	96,2	65,0
გუდაუთი	108,1	79,5
სულ აფხაზეთში	**90,8**	**73,1**
მახარაძე	76,4	49,4
ჩოხატაური	72,2	41,5
ლანჩხუთი	75,1	47,7
სამტრედია	95,4	88,7
წულუკიძე	102,0	108,9

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წარსულსა	აგვისტოს ჩაის ფოთლის დამზადებისას
ქუთაისი	155,0	144,2
წყალტუბო	87,4	86,0
ტყიბული	110,7	110,0
ცხაკაია	103,7	93,8
აბაშა	116,7	101,5
გეგეჭკორი	114,0	102,9
ზუგდიდი	91,0	65,1
წალენჯიხა	91,6	78,8
ჩხოროწყუ	100,1	98,7
ხობი	92,5	79,3
ჩხარი	98,5	72,6
ზესტაფონი	99,0	45,0
სულ საქართველოს სსრ	**85,0**	**64,7**

პასუხი შეკითხვაზე

როგორი ურთიერთობა არსებობს ბენილუქსის ქვეყნებს შორის?

მ. ვ. მოლოტოვის (ოსლოს რადიოთი) შეკითხვა

დასავლეთ ევროპის სამ პატარა სახელმწიფოს — ბელგიას, ნიდერლანდსა (ჰოლანდია) და ლუქსემბურგს ახლა ბენილუქსს უწოდებენ. 1944 წელს, როცა ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის მთავრობები ემიგრაციაში იმყოფებოდნენ ლონდონში, ინგლისელ-ამერიკელი დიპლომატების შთაგონებით მათ შეიმუშავეს ბენილუქსის იდეა და იმავე წლის 5 სექტემბერს დადეს საბაჟო კონვენცია. დასახულ იქნა ამ სამ ქვეყანას შორის მტკიცე ეკონომიური კავშირის დამყარება, საბაჟო ტარიფების უნიფიკაცია, საბაჟო ბარიერების მოსპობა და შეუფერხებელი საგაჭრო ურთიერთობის დამყარება, რასაც უნდა მოჰყოლოდა ვალუტაზე კონტროლის გაუქმება. ბენილუქსის სახით ვარაუდობდნენ სამი სახელმწიფოსაგან ეკონომიურად მთლიანი კომპლექსის შექმნას. ამისათვის თითქოს კარგი ბაზა უნდა ყოფილიყო ინდუსტრიული ბელგია, მეტალურგიული ლუქსემბურგი და მოწინავე სოფლის მეურნეობის ქვეყანა—ჰოლანდია.

როცა ბენილუქსის იდეას იმუშავებდნენ, ინგლისელ-ამერიკელ დიპლომატებს ბენილუქსის ქვეყნების კეთილდღეობა როდი აინტერესებდათ. მათ უნდოდათ მოესპოთ საბაჟო ბარიერები და ამ ქვეყნებში თავისუფლად შეეზიდათ თავიანთი საქონელი, შეეზღუდათ ადგილობრივი მრეწველობა და გაეუარესებინათ მოსახლეობის საარსებო პირობები. ეს ნათელი გახდა ომისშემდგომ პერიოდში. ამერიკელ იმპერიალისტთა პოლიტიკამ, რაც ე. წ. მარშალის გეგმაშია გამოხატული, გამოიწვია ბენილუქსის ქვეყნების საშინაო ვაჭრობის შეზღუდვა, მთელ რიგ საწარმოთა დახურვა, უმუშევრობის ზრდა.

ხანამ ბენილუქსის ქვეყნებში კაპიტალისტური წყობილება იარსებებს, ისინი თავს ვერ დააღწევენ წინააღმდეგობებსა და ურთიერთ მეტოქეობას. მათ შორის ძნელია სრულყოფილი ეკონომიური შეთანხმების მიღწევა. ამ ქვეყნებმა 1947-1949 წლებში არაერთხელ მოაწყეს თათბირი, მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. მიმდინარე წლის 10 მარტს ჰააგაში შედგა ბენილუქსის ქვეყნების მინისტრთა კონფერენცია, რომელმაც განიხილა სამ ქვეყანას შორის ეკონომიური კავშირის საკითხი. წინათ მიღებული გადაწყვეტილება ეკონომიური კავშირის შესახებ ძალაში უნდა შესულიყო 1950 წლის 1 იანვრიდან. კონფერენციამ მხოლოდ ის გააკეთა, რომ ეს ვადა 1950 წლის ივლისამდე გადასწია. გაზეთების აზრით, ბენილუქსის სახელმწიფოთა ეკონომიური კავშირის განხორციელება სერიოზულ სირთულეებს აწყდება, რადგან ეს სახელმწიფოები თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ბენილუქსის ქვეყნებს შორის საბაჟო ბარიერების გაუქმებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ცნობილია, მაგალითად, რომ ბენილუქსის ქვეყნების ეკონომიურმა კონფერენციამ 1948 წელს ვერ შეძლო შეთანხმებისათვის მიეღწია და საბაჟო მეზღუდვანი გაეუქმებინა ლუდზე. ჰოლანდია დიდი რაოდენობით უშვებს მაღალი ხარისხის ლუდს, რომელიც ბელგიაში დამზადებულ ლუდზე უფრო იაფი და კარგია. სწორედ ამიტომ ის კონკურენციას უწევს ბელგიის ლუდს და გარკვეული ფენების აღშფოთებას იწვევს. ასევე ითქმის სხვა პროდუქტებზეც.

ბენილუქსის ქვეყნებს შორის არ არსებობს ნამდვილი მეგობრული დამოკიდებულება. ეს ქვეყნები ერთნაირ მდგომარეობაში არიან მხოლოდ ამერიკული საქონლისა და ამერიკის კაპიტალის მიმართ. ერთმანეთს ემსგავსებიან სამხედრო მზადებითაც. პატარა ლუქსემბურგიც, რომლის მოსახლეობა 300 ათას კაცს შეადგენს, ისეთივე სამხედრო სამზადისშია, როგორც ბელგია და ჰოლანდია.

ამრიგად, ბენილუქსი, როგორც ბელგია-ჰოლანდია-ლუქსემბურგის ეკონომიური კავშირი, სჭირდება არა თვით ამ ქვეყნებს, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებიც მსოფლიო ბატონობისათვის იბრძვიან. მაგრამ ბენილუქსის ქვეყნების უბრალო ადამიანები უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ ასეთი კავშირი ხალხს კარგ მომავალს არ უმზადებს.

ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებმაც ბენილუქსის ქვეყნები ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის მონაწილეებად გახადეს, უნდათ ეს ქვეყნები აგრესიულ პლაცდარმად გამოიყენონ და ჩაბან დემოკრატიული ბანაკის წინააღმდეგ ომში.

აკ. ჩავლეიშვილი

სკოლის ახალი შენობა

ლენინგორი. (საკ. კორ.). სოფელ დადიანეთის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ვ. ბერიანიძე) წევრებმა წარმატებით შეასრულეს აღებული ვალდებულება — დაამთავრეს ახალი ექვსოთახიანი სასკოლო შენობის მშენებლობა და კეთილმოწყობა. ახალი სკოლა უზრუნველყოფილია საკმაო რაოდენობის ინვენტარით. ახლა კოლმეურნეები სკოლას ამარაგებენ შეშით.

სკოლის ყველა მასწავლებელი დაკმაყოფილებულია კეთილმოწყობილი ბინით.

იაპონიის კაპიტულაციის ოთხი წლისთავი

1945 წლის 2 სექტემბერს ხელმოწერილ იქნა იაპონიის კაპიტულაციის აქტი. ეს თარიღი ისტორიაში შევიდა, როგორც მეორე მსოფლო ომის დამთავრების დღე.

საბჭოთა კავშირმა, რომელმაც ძირითადი როლი შეასრულა აგრესიის დასავლეთი კერის მოსპობაში, უმნიშვნელოვანესი, გადამწყვეტი წვლილი შეიტანა აგრესიის აღმოსავლეთი კერის ლიკვიდაციაშიც.

ომი შორეულ აღმოსავლეთში თითქმის უკვე ოთხი წლის დაწყებული იყო, როცა ამ ომში საბჭოთა კავშირი ჩაერია. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს, რომლებმაც საბჭოთა კავშირი ფაშისტურ გერმანიასთან ბრძოლაში მარტო დატოვეს, შესაძლებლობა ჰქონდათ წყნარი ოკეანის ფრონტზე მოეყარათ თავი თავიანთი ძალების უდიდესი ნაწილისათვის. უფრო მეტიც, ომობდნენ რა იაპონიის წინააღმდეგ, მათ შეეძლოთ სრულებით არ ჩაეგდოთ სათვალავში მტრის ისეთი უდიდესი ძალა, როგორიც იყო იაპონიის კვანტუნის არმია, რომელიც ემზადებოდა საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთზე თავდასხმისათვის და რომელიც წყნარი ოკეანის ომის ყველაზე დაძაბულ მომენტებშიც კი არ გაუწვევიათ მანჯურიის პლაცდარმიდან.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს წინააღმდეგობას უწევდა იაპონიის შეიარაღებული ძალების მხოლოდ ერთი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ მათ დასავლეთში ხელი გახსნილი ჰქონდათ ჰიტლერული სამხედრო მანქანის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის გმირული ორთაბრძოლის გამო, მათ ვერ მოახერხეს გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინათ იაპონიისათვის. ჯერ კიდევ 1945 წლის ივნისში იაპონიის მთავრობამ კატეგორიულად უარყო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და ჩინეთის მოთხოვნა უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ.

ომის შემდეგ ამერიკელმა იმპერიალისტებმა შითხზეს და სცადეს ანტისაბჭოთა მიზნებით გაეერცელებინათ ლეგენდა, რომ არა საბჭოთა კავშირის ჩარევამ ომში და არა საბჭოთა არმიის ელვისებრმა გამანადგურებელმა დარტყმებმა აიძულეს იაპონიის მმართველი ხროვა დათანხმებულიყო კაპიტულაციაზე, არამედ... ამერიკის ორმა ატომურმა ბომბმა, რომლებიც იაპონიის ქალაქების ხიროსიმას და ნაგასაკის სამოქალაქო მოსახლეობას დააყარეს.

სისულელე ამ პროპაგანდისტული მონაჭორისა, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ დაამციროს საბჭოთა კავშირის როლი იაპონიის განადგურებაში, სავსებით ცხადია. თუ რა ნაკლებად სწამდა მაშინ თვით ინგლის-ამერიკის უმაღლეს სარდლობას ატომური ბომბის „მაგიური“ ძალა, ეს იქიდან ჩანს, რომ იგი 1945 წელს კიდევ გეგმავდა იაპონიის მეტროპოლიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ოპერაციების დაწყებას მხოლოდ 1946 წლის ზაფხულისათვის. იაპონიის იმპერიალისტ მმართველებს აზრადაც არ მოსდიოდათ კაპიტულაცია.

ხალხები კიდევ დიდხანს იქნებოდნენ მშვიდობის მოლოდინში, საბჭოთა კავშირი რომ არ ჩარეულიყო ომში და იაპონელთა სამხედრო ხროვის მთელი ვარაუდები რომ არ აერია. საბჭოთა ჯარები მარტო შეებრძოლნენ კვანტუნის მილიონიან არმიას, რომელსაც იაპონელთა სამხედრო ხროვა მზრუნველობით უვლიდა, წვრთნიდა და უახლესი საჭურვლით აიარაღებდა. უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ამ არმიას, რომელიც საიმპერატორო შეიარაღებული ძალების სისტემის საუკეთესო არმია იყო, საბჭოთა არმიამ ჭეშმარიტად გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა, რამაც დაჩოქა იაპონია. იაპონელი სამურაების დამარცხება საბჭოთა მეომრების ოსტატობის, ძალისა და გმირობის შედეგი იყო.

იაპონიის იმპერიალიზმის დამარცხება რომ დაჩქარა, საბჭოთა კავშირმა ამით მოაახლოვა მსოფლიო ომის დამთავრება და იხსნა ხალხები, მათ შორის იაპონელი ხალხიც, შემდგომი მსხვერპლისა და ტანჯვისაგან. ჩვენი სამშობლოს ძველთაძველი მიწაწყალი — სამხრეთი სახალინი და კურილის კუნძულები დაუბრუნდა საბჭოთა კავშირს. „ამიერიდან,—თქვა ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა ხალხისადმი 1945 წლის 2 სექტემბრის მიმართვაში, — ისინი ოკეანისაგან საბჭოთა კავშირის მოწყვეტის საშუალება და ჩვენს შორეულ აღმოსავლეთზე იაპონიის თავდასხმის ბაზა კი აღარ იქნებიან, არამედ ოკეანესთან საბჭოთა კავშირის პირდაპირი კავშირის საშუალება და იაპონიის აგრესიისაგან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ბაზა“.

საბჭოთა არმიამ დაუბრუნა ჩინეთს მანჯურია, რომელიც ავაზაკურად წაჰგლიჯა მას იაპონიამ 1931 წელს, კორეიდან განდევნა იაპონელი დამპყრობლები, რითაც ბოლო მოუღო ამ ქვეყანაში იაპონელი კოლონიზატორების თითქმის ნახევარი საუკუნის ბატონობას. იმპერიალისტური იაპონიის განადგურებამ საბოლოოდ იხსნა იაპონელი ოკუპანტების უღლისაგან ფილიპინების, ინდო-ჩინეთის, ბირმის, ინდონეზიის, მალაიის ხალხები და თავისუფლება დაუბრუნა თითქმის ნახევარ მილიარდ ადამიანს. იაპონიის უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ შორეული აღმოსავლეთის ხალხებს პირველად მიეცათ სრული თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის საფუძვლებზე მშვიდობიანი არსებობისა და განვითარების შესაძლებლობა.

მაგრამ თუ საბჭოთა კავშირის მხრივ ამ ხალხებმა თავიანთ ეროვნულ მისწრაფებათა სრული გაგება, თანაგრძნობა და მხარდაჭერა ჰპოვეს, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა კოლონიურ სახელმწიფოთა მხრივ ღაიწყო გაფთრებული წინააღმდეგობა. ამ სახელმწიფოებმა ყველა თავიანთი დაპირება დაარღვიეს და იმისათვის, რომ კოლონიური ექსპლოატაციის რეჟიმი აღადგინონ აზიის განთავისუფლებულ ქვეყნებში, ომი დაიწყეს იმ ხალხების წინააღმდეგ, რომლებიც მშვიდობიანი დამოუკიდებელი არსებობისა და დემოკრატიული განვითარების თავიანთ უფლებას იცავენ.

აზიის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუწყვეტელი ზრდა, ჩინეთის დემოკრატიული ძალების მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება, ჩრდილოეთ კორეის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების წარმატებანი — ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ მშვიდობისა და დემოკრატიის მტრებმა ვერ მოახერხეს და ვერც მოახერხებენ წაართვან ხალხებს იაპონელ აგრესორებზე მოპოვებული გამარჯვების ნაყოფი.

რა მოუტანა ამ ოთხმა წელმა იაპონელ ხალხს? თუ გენერალ მაკარტურის მკვეხარა დეკლარაციებს დავუჯერებთ, იაპონია თითქმის ამერიკის საოკუპაციო ჯარების ჩასვლის მეორე დღესვე მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფო გახდა. მაგრამ ნამდვილად იაპონიის დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციის ამოცანა, რაც დადგენილია პოტსდამის დეკლარაციასა და შორეულ აღმოსავლეთის სამოკავშირეო კომისიის გადაწყვეტილებებში, ამერიკის მონოპოლისტური წრეების მეცადინეობით, რომლებიც მაკარტურის შტაბის საქმიანობას წარმართავენ, წლითიწლობით უფრო და უფრო შორდება თავის განხორციელებას. იმპერიალისტური აგრესიის სულისჩამდგმელებმა და მთავარმა ორგანიზატორებმა — კაპიტალის იაპონელმა მაგნატებმა შეინარჩუნეს თავიანთი წინანდელი გაბატონებული პოზიციები იაპონიის ეკონომიკაში (მართალია, ბევრი რამ ღათმეს თავიანთი ამერიკელი მფარველების სასარგებლოდ). იაპონიის ეკონომიკას ამერიკელი მონოპოლისტების ინტერესებს უხამებენ. ამისათვის დიდად ზრუნავს იაპონიის რეაქციული მთავრობა, რომელსაც წარმართავს ძიბაცეს საფინანსო-სამრეწველო ხროვა. სწორედ ამიტომ იაპონიის მრეწველობის მშვიდობიანი დარგების განვითარებას ვერასაზით ვერ მიუღწევია ომამდელი დონის ნახევრამდეც კი.

უოლ-სტრიტის კარნახით იაპონიის მთავრობამ შეცვალა შრომის კანონმდებლობა, წაართვა მუშა-მოსამსახურეებს პროფკავშირებში გაერთიანებისა და გაფიცვის უფლება, იგი ახორციელებს საწარმოთა „რეორგანიზაციას“, ქუჩაში ერეკება ასეულ ათასობით მუშას, ამცირებს მშრომელთა ისედაც მცირე ხელფასს. იაპონიაში ამერიკის ოთხი წლის თარეშის შედეგად იაპონელი მშრომელი ხალხის ფართო მასებს უმუშევრობა, სიღატაკე და გაჩანაგება მოელის.

ამერიკელი საოკუპაციო ხელისუფალნი დაჟინებით უწევენ საბოტაჟს იაპონიის სრული დემილიტარიზაციის შესახებ პოტსდამის დეკლარაციის უპირველესი და უცილობელი მოთხოვნის განხორციელებას. იაპონიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის ლიკვიდაციის ნაცვლად, რის გარეშეც წარმოუდგენელია იაპონელი აგრესორის საბოლოო განიარაღება, მაკარტურის შტაბი ამერიკის მონოპოლიების კარნახით ეწევა იაპონიის სამხედრო მრეწველობის აღორძინების პოლიტიკას, არღვევს მოკავშირეთა გადაწყვეტილებებს იაპონიის დემოკრატიზაციის შესახებ. პოლიციის ძალების, „სახანძრო რაზმების“ და სხვა ნიღბით გაფაციცებით ეწევიან იაპონიის არმიის აღდგენას. იაპონიის ასეულ ათასობით მშრომელს თავშესაფარი არა აქვს, საოკუპაციო ხელისუფალნი კი იაპონიის კუნძულებზე მნიშვნელოვანი მასშტაბის სამხედრო-სტრატეგიულ მშენებლობას ეწევიან.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები იაპონიას აბზადებენ მათ მიერ განზრახული წყნარი ოკეანის იმ აგრესიული ბლოკის მთავარი ცენტრის როლისათვის, რომელიც ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის დამატება უნდა გახდეს. იაპონიაში ამერიკის მერვე საოკუპაციო არმიის ყოფილმა სარდალმა გენერალმა ეიკელბერგერმა ამას წინათ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც აშკარად მოუწოდა შეაიარაღონ იაპონია და გადაქცინონ იგი „ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირედ“ მომავალი ომის შემთხვევაში.

იაპონიის იმპერიალიზმის აღორძინების გეგმები განსაზღვრავენ აგრეთვე ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთა საშინაო პოლიტიკას იაპონიაში, მიმართულს იმპერიალიზმისადმი მტრულად განწყობილი დემოკრატიული ძალების ჩახშობისაკენ. განსაკუთრებით სასტიკად იდევნება მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული იაპონიისათვის ყველაზე თანმიმდევრული მებრძოლი — იაპონიის კომუნისტური პარტია. მაკარტურის შტაბი და იოსიდას მთავრობა ყოველი საშუალებით ცდილობენ მოახდინონ იაპონიის კომპარტიის იზოლაცია, აუტანელ შეზღუდვათა პირობებში ჩააყენონ მისი საქმიანობა. ისინი ნამდვილ ფაშისტურ მეთოდებსაც არ ერიდებიან, მიმართავენ მასობრივ დაპატიმრებასა და სასტიკ წამებას. მოქმედებენ დაჭირავებული მკვლელები, რომლებიც თავს ესხმიან კომუნისტ მოღვაწეებს, წყობა თავდასხმები კომპარტიის ხელმძღვანელ ცენტრებსა და კომუნისტური გაზეთების რედაქციებზე. მაგრამ იაპონიის კომპარტია ტყუილად როდი მუშაობდა უსასტიკესი სამხედრო-პოლიციური ტერორის პირობებში მეოთხედ საუკუნეზე მეტ ხანს. მის მიერ შეძენილი გამოცდილება საშუალებას აძლევს მას დევნის ახლანდელ ძნელ პირობებშიც მუდამ იყოს ხალხთან ერთად, უხელმძღვანელოს ფართო მოძრაობას ანტიხალხური მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ჰყიდის იაპონიის დამოუკიდებლობას და ხელს უწყობს მის კოლონიზაციას. კომპარტია ხალხთან ერთად ილაშქრებს იმ ცდების წინააღმდეგ, რომ იაპონია გადააქცინონ ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად, იბრძვის დემოკრატიისათვის, ხალხის უფლებებისა და საარსებო ინტერესებისათვის.

შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ სწორედ წელს, როცა პოლიციურმა ტერორმა იაპონიის პროგრესული ძალების წინააღმდეგ ამერიკული ოკუპაციის მთელი დროის განმავლობაში ყველაზე დიდ მასშტაბს მიაღწია, იაპონიის კომპარტიამ უმაგალითო გამარჯვება მოიპოვა პარლამენტის არჩევნებში. კომპარტიის კანდიდატებმა 3,5 მილიონი ხმა მოაგროვეს და პარლამენტში 36 ადგილი მიიღეს — ცხრაჯერ მეტი. ვიდრე წარსულ არჩევნებში. ეს მოწმობს, რომ განუხრელად გრძელდება იაპონიის დემოკრატიული ბანაკის ზრდა და განმტკიცება, ძლიერდება მისი პოლიტიკური შეგნებულობა.

იაპონიის დემოკრატიული ბანაკი თავის ბრძოლაში ეყრდნობა მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების ერთიანობას, რომლებსაც მეთაურობს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის დიდი მებრძოლი საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა კავშირი იაპონიის კაპი

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე იუგოსლავიის მთავრობისადმი

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 1 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს საბჭოთა მთავრობის უკანასკნელ ნოტას იუგოსლავიის მთავრობისადმი. გაზეთი „რუდე პრავო“ სტატიაში „ტიტოს დანაშაულებრივი ბანდა სამართლიან სასჯელს ვერ გაექცევა“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის ნოტებმა, რომლებიც იუგოსლავიის მთავრობას ამა წლის იელისსა და აგვისტოში გადაეცა, ბოლომდე ამხილეს ჩიხში მოქცეული ბელგრადელი ფაშისტთა ბრბოვა.

ტიტო, წერს გაზეთი, ცდილობს გესტაპოური, ფაშისტური რეჟიმის მეთოდებით შეინარჩუნოს ძალაუფლება. მაგრამ ბელგრადელი ავანტიურისტები და დამნაშავეები აშკარად გადაკარბებით აფასებენ თავიანთ ძალებს, სწორედ ისე, როგორც გადაჭარბებით აფასებდნენ თავიანთ ძალებს ტიტოს ფაშისტი წინამორბედნი ბერლინსა და რომში.

საბჭოთა მთავრობის უკანასკნელი ნოტა, განაგრძობს გაზეთი, რომელიც კვლავ უბრუნდება სლოვენიის კარინტიის საკითხს, შეიცავს ამომწურავ ფაქტებს, რომლებიც ადასტურებენ იუგოსლავიელი ხალხისადმი ტიტოს ხროვის ღალატსა და გამცემლობას, მშვიდობის საქმისადმი ღალატს. საბჭოთა მთავრობის ნოტა ამხილებს ტიტოს ხროვის დიდი ხნის მეგობრულ ურთიერთობას ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებთან და იმ ბინძურ როლს, რასაც ტიტოს ხროვა ასრულებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ომის გამჩაღებელთა ეგრეთ წოდებულ ცივ ომში.

საბჭოთა მთავრობის ნოტაში ნათქვამია, რომ საბჭოთა ხალხი და საბჭოთა საზოგადოებრიობა იუგოსლავიის მთავრობას აკეთებენენ არა შემთხვევითი, არამედ ბოროტგანმზრახველი დეზერტირების კატეგორიას. საბჭოთა კავშირის აზრით ეს თვალსაზრისს ვიზიარებთ ჩვენც. მას იზიარებს სახალხო დემოკრატიის ყველა დანარჩენი ქვეყანა, მას იზიარებენ ამ ქვეყნების ყველა მშრომელნი და მილიონობით თავისუფლებისმოყვარე ადამიანები, რომლებიც თავისუფლებისა და პროგრესისათვის იბრძვიან ჩინეთში, ესპანეთში, საბერძნეთში. ამ თვალსაზრისს იზიარებს მთელი დემოკრატიული კაცობრიობა. ტიტოელი ფაშისტების ბედი ისეთივე იქნება, როგორიც არის ხოლმე ყველა დეზერტირის ბედი. ტიტოელი დეზერტირები, რომლებიც ყველა პატიოსან ადამიანს ეზიზღება, სამართლიან სასჯელს ვერ გაექცევიან.

ჩეხოსლოვაკიელი მშრომელების კავშირის ორგანო „ლიდოვე ნოვინი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის ახალმა ნოტამ ერთხელ კიდევ ჩასცა ლახვარი ტიტოს ხროვას, რომელიც დემოკრატიის ბანაკიდან გაიქცა და ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში ჩავიდა. გაზეთი „ობრანა ლიდუ“ წერს, რომ იუგოსლავიის მთავრობის მთელი მოქმედება მოწმობს დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისადმი საზიზღარ ღალატს, რაც ამ მთავრობამ ჩაიდინა.

ტიტოს ხროვა ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის მარionეტია, დასკვნის გაზეთი.

ბულგარეთი

სოფია, 1 სექტემბერი. (საკდესი). ბულგარულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტის სრული ტექსტი.

გაზეთი „ზემედელსკო ზნამეა“ მოჰყავს მუშაობა კრებების რეზოლუციები, რომლებიც გმობენ ტიტოს ხროვის გამცემლურ მოქმედებას და გამოთქვამენ რწმენას, რომ სოციალიზმის საქმისადმი კვლავ ერთგული იუგოსლავიელი ხალხი ჰპოვებს ძალას, რათა დაძლიოს სახიზღარ გამცემთა ხროვა და დაამტკიცოს თავისი ქვეყანა დემოკრატიული ხალხების ოჯახში, რომელსაც მეთაურობს დიდი საბჭოთა კავშირი და საკავშირო კომუნისტური პარტია ბოლშევიკებისა.

სოფია, 1 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ყველა ბულგარული გაზეთი აქვეყნებს მოწინავე სტატიებს, რომლებიც ეძღვნება საბჭოთა ახალ ნოტას იუგოსლავიის მთავრობისადმი.

გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ მოწინავე სტატიაში სათაურით „უკიდურესად დაეცენ“ წერს:

—იუგოსლავიის მთავრობას ანგარიში არ გაუწევია კარინტიის სლოვენი მოსახლეობის მისწრაფებისათვის თავისუფლებისადმი. ფაზეზებით მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შესახებ ეს უპრინციპო პოლიტიკანები ჩქმალავენ თავის ბურჟუაზიულ - ნაციონალისტურ პლიტიკას, რომელიც მათ სურთ შეუთანხმონ და დაუკავშირონ იმპერიალისტური ქვეყნების პოლიტიკას. ტიტოს ხროვა სულ უფრო დაბლა ეშვება. იგი ცდილობს თავისი ცილისმწამებლური ჭორები ამ წერილის გაყალბებით დაასაბუთოს, რომელიც ამხანაგმა სტალინმა 1945 წელს ავსტრიის კანცლერს რენერს გაუგზავნა. საბჭოთა პასუხში ეს წერილი მოყვანილია და ცხადი გახდა, რომ იქ ლაპარაკია ავსტრიის დამოუკიდებლობისა და მთლიანობის დაცვაზე და არა კარინტიისა და მის საზღვრებზე. ტიტოელები დაადგნენ ნაციონალიზმის გზას და გადაბარგდნენ იმპერიალიზმისა და ბურჟუაზიული რეაქციის ბანაკში. ამიტომ კომუნისტურ პარტიებში ნაციონალიზმის გამოვლინება გახურებული შანთით უნდა ამოიწვას.

სტატიის დასასრულს მოყვანილია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სამპოლო ფრონტის ეროვნული საბჭოს ლოზუნგი 9 სექტემბრის საყოველთაოსახალხო დღესასწაულისათვის:

„ძმური სალამი იუგოსლავიელ მშრომელებს, რომლებიც იბრძვიან ტიტოელ გამცემთა ფაშისტურ-გესტაპოური რეჟიმის წინააღმდეგ, იმისათვის, რომ იუგოსლავია დაიბრუნონ დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკში, რომელსაც საბჭოეთი უდგას საბჭოთა კავშირი!“

„საბჭოთა დიპლომატია,—წერს გაზეთი „იზგრევი“,—არა ჰგავს კაპიტალისტური სამყაროს დიპლომატიას. საბჭოთა დიპლომატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ახალი პრინციპით, რომლებიც ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმის მძლავრ თეორიას. საბჭოთა დიპლომატები საერთაშორისო თავაზიანობის წესებს არ არღვევენ, მაგრამ არ ფარისევლობენ, არამედ საგნებს თვალს უწოდებენ... საბჭოთა მთავრობის 29 აგვისტოს ნოტას გაუჩრიელი არ დარტყმულია არც ერთი საკითხი. მან გამოაცალა ტიტოელთა ორპირული თამაში სლოვენიის კარინტიის საკითხში... საბჭოთა მთავრობა იმას ლაპარაკობს, რასაც ფიქრობს, ტიტოელებს უწოდებს მათს ნამდვილ სახელს, არ მალავს თავის სიძულვილს უბადრუკი და საზიზღარი კაცუნებისადმი, რომლებმაც უღალატეს თავის ხალხსა და მის საუკეთესო მეგობრებს—საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს—და ინგლის-ამერიკის კაპიტალის მსახურნი გახდნენ“.

გაზეთი „იზგრევი“ მეორე გვერდზე სათაურით „საყოველთაო აღშფოთება ტიტოს ხროვის სამარცხვინო მოქმედების გამო“ აქვეყნებს ბულგარეთის საწარმოთა მშრომელების რეზოლუციებს, რომლებიც მათ მიიღეს საერთო კრებებზე საბჭოთა ნოტის განხილვისას.

კაჟიჯოს ქარხანა „ვიზლავეიდის“ მუშები, იუწყება გაზეთი, წერენ, რომ საქმეს, რომელსაც ტიტომ უღალატა, ბოლომდე მიიყვანენ იუგოსლავიელი ხალხების ჯანსაღი ძალები.

ფაბრიკა „ბიტოშის“ მუშები პროტესტს აცხადებენ საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიაზე ცილისწამების წინააღმდეგ. ისინი მამართავენ იუგოსლავიის კომუნისტებს მოწოდებით — ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ თავისი ქვეყანა მალე დააბრუნონ დემოკრატიული ხალხების საერთო ოჯახში.

რუმინეთი

ბუქარესტი, 1 სექტემბერი. (საკდესი). დღეს რუმინული პრესა ფართო კომენტარს უკეთებს საბჭოთა მთავრობის ნოტას იუგოსლავიის მთავრობისადმი. გაზეთები მკაცრად გმობენ ბოროტ ბელგრადელ დეზერტირებს.

გაზეთი „სკინტეია“ მოწინავე სტატიაში სათაურით „ტიტოელი დეზერტირები გაკრული ირიან სამარცხვინო ბოძზე“ წერს: „საბჭოთა ნოტა კიდევ ერთ გამანადგურებელ ლახვარს სცემს ბელგრადელ ფაშისტთა საზიზღარ ხროვას. სოციალიზმისა და იუგოსლავიელი ხალხების ამ საზიზღარმა მოღალატეებმა ზიზღი და აღშფოთება დაიმსახურეს. რა უბადრუკი ირიან ბოლოს—კარდელისა და მათი კომპანიის ეს ფაშისტი მომაკვდავი ძაღლები!

ჩუენ ქვეყნის მშრომელები აღსავსე ირიან აღშფოთების გრძნობით, რასაც იწვევს ბელგრადელი ფაშისტი არამზადის ყოველი ახალი საზიზღარი საქციელი. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები რწმენას გამოთქვამენ, რომ იუგოსლავიის ხალხები შეძლებენ გამოიყენონ ფიდიელი დახმარება, რასაც მათ საბჭოთა მთავრობა უწევს იმისათვის, რომ მონახონ ფაშისტ ხელმძღვანელთა დამხობის სწორი გზა, მონახონ დემოკრატიისა და სოციალიზმის იმ დიდი და უძლეველ ბანაკში დაბრუნების გზა, რომელსაც მძლავრი საბჭოთა კავშირი მეთაურობს“.

გაზეთი „უნივერსული“ წერს:

„საბჭოთა ნოტა აშკარად ახასიათებს ტიტოს ფაშისტურ ხროვას როგორც იუგოსლავიის ეროვნული ინტერესების მოღალატეებს, ვინაიდან ბელგრადელი ვაჟბატონებისათვის დოლარები უფრო ძვირფასია, ვიდრე თავიანთი ხალხის დამოუკიდებლობა. მათ უღალატეს არა მარტო იუგოსლავიელ ხალხს, არამედ მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკსაც. ისინი თავის იარაღანად, მთელი თავისი ბარგი-ბარხანით გადაბარგდნენ მშვიდობისა და ხალხთა თავისუფლების ბანაკში“.

გაზეთი „რომინია ლიბერას“ დაწერილებით მოჰყავს ციტატები საბჭოთა მთავრობის ნოტიდან და მოწინავე სტატიაში სათაურით „ახალი დარტყმა ბელგრადელი ფაშისტური ხროვისადმი“ წერს: „ზიზღს, რომელსაც საბჭოთა ადამიანები ტიტოს ხროვისადმი გამოთქვამენ, ზიზღრებს მთელი პროგრესული კაცობრიობა, ზიზღი და სიძულვილი სოციალიზმის ბინძურ მოღალატეებს, ზიზღი და სიძულვილი ომის გამჩაღებელთა არამზადა აგენტებს, იმათ, ვინც იმპერიალისტთა ბრძანებით ცდილობს ააფეთქოს თოფიფსწამლის კასრი ბალკანეთში.

მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები მადლიერი არიან საბჭოთა კავშირისა იმ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, რასაც იგი ეწევა ბელგრადელი ომის გამჩაღებლების ფაშისტური ბუდის სავსებით გამოსაფაფარავებლად. ამრიგად, საბჭოთა კავშირი ერთხელ კიდევ უწევს სამსახურს მშვიდობის, დემოკრატიის საქმეს, ხალხთა ურთიერთგაგებისა და იუგოსლავიელი ხალხის განთავისუფლების საქმეს“.

გაზეთი „ფრონტულ პლუგარალორი“ აღშფოთებით წერს ბელგრადელ მოღალატეთა სახიზღარ მოქმედებაზე, რომლებიც მხილებული არიან საბჭოთა მთავრობის ნოტებში. გაზეთი წერს: „საბჭოთა მთავრობის ნოტა ხელს უწყობს იუგოსლავიის ხალხებს შეიტყონ სიმართლე ტიტოს ხროვის სახიზღარი გამცემლობის შესახებ, ხროვისა, რომელმაც რამდენიმე ვერცხლად მიჰყიდა იუგოსლავია იმპერიალისტებს და ფეხქვეშ გთელა იუგოსლავიის ხალხების ეროვნული ინტერესები. სსრ კავშირის ნოტა ძლიერი ლახვრის ჩაცემაა არა მარტო ბელგრადელი გამცემლებისათვის, არამედ მათი ბატონებისა—ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტებისთვისაც, რომლებიც ცდილობენ ახალ ომში გადაჩეხონ კაცობრიობა“.

გაზეთი „ნია

სინდიკალა“ იუგოსლავიის მთავრობას უწოდებს ტერორისტულ მთავრობას, რომელიც „არ შეიძლება სარგებლობეს მსოფლიოში არც ერთი პატიოსანი ადამიანისა და არც ერთი ხალხის პატივისცემით. მისი ადგილია ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის სისტემად დაქირავებულ აგენტთა შორის. მხოლოდ იქ შეუძლია მას ისარგებლოს პატივისცემით, რასაც დამნაშავენი ერთმანეთს უწევენ. ბელგრადელ ავანტიურისტთა მთავრობა შეიძლება უყვარდეთ მხოლოდ მის თანამონაწილეებს მონარქისტულ-ფაშისტური საბერძნეთიდან და ფაშისტური ესპანეთიდან. მსოფლიოს ხალხები ერთნაირი ძალით გმობენ მათ და სძულთ ისინი“.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 1 სექტემბერი. (საკდესი). უნგრეთის ყველა დღეგაზეთი გაზეთი მოწინავეებსა და სარედაქციო სტატიებს უძღვნის საბჭოთა მთავრობის ნოტას იუგოსლავიის მთავრობისადმი.

საბჭოთა მთავრობის 29 აგვისტოს ნოტას, წერს გაზეთი „საბად ნეპი“, ისტორიული მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა ნოტა უდიდეს დახმარებას უწევს მშვიდობის გულწრფელ მომხრეებს და უწინარეს ყოვლისა ჩაგრულ იუგოსლავიელ ხალხს ყველაზე საშინში მათი მტრის გამოაშკარავებაში, ომისშემდგომი პერიოდის ყველაზე სამარცხვინო გამცემლობის გამოაშკარავებაში. საბჭოთა ნოტა ამხილებს საშინ. საზიზღარ, ორპირულ რეჟიმს, რომელიც მიზნად ისახავს ხალხის მოტყუებას. საბჭოთა ნოტა ააშკარავებს ამ გამცემთა საერთაშორისო კავშირს, ამხილებს ზნედაცემულ საზიზღარ მოღალატეებს და ნათლად ამეკვეს გამცემლობის მთელ პოლიტიკურ სარჩულს. იუგოსლავიელი ხალხისათვის ნოტა საუცხოო თვალსაჩინო გაკვეთილია, რომელიც ამხილებს იმ გამცემთა და პროვოკატორთა დემაგოგიასა და მეთოდებს, რომლებიც მშვიდობისმოყვარე ხალხთა რიგებში ვიღრინენ. იგი ერთდროულად ამხილებს გამცემთა ბატონებსაც და მათ მიზნებსაც. საბჭოთა კავშირის ნოტა ნიღაბს ხდის ალმოსავლეთ ევროპაში ომის პროვოკატორებს, შეიცავს მთელ რიგ ფაქტებსა და დამამტკიცებელ საბუთებს, ე. ი. ჭეშმარიტებას. და ეს ჭეშმარიტება ცხადყოფს იუგოსლავიის მთავრობის შემძაფრნებელ საზიზღრობას, სიბინძურესა და გამცემლობას.

საბჭოთა ნოტამ, აღნიშნავს დასასრულ გაზეთი, ხელი შეუწყო იუგოსლავიის ხალხებს დაენახათ იუდა ტიტოს თავარობის ნამდვილი სახე.

საბჭოთა მთავრობის ახალმა ნოტამ, აღნიშნავს გაზეთი „ნეპსავა“, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ტიტოს ცილისმწამებლურ ანტისაბჭოთა პროპაგანდას სლოვენიის კარინტიის საკითხში. საბჭოთა მთავრობის ნოტა მსოფლიოს უჩვენებს ჭეშმარიტებას, რომელსაც ვერ ჩაახშობს ფაშისტური ტიტომ ფალსიფიკაციებს, ოფიციალურ ცილისწამებებს, ოფიციალურ ტერორს, ფაშისტურ ციხეებსა და ბანაკებში ჩაგრულ ხალხებს. ეს ნოტა ბელგრადელ ფაშისტებს ეუბნებოდა, ეუბნებოდა ბოროტ ბელგრადელ ფაშისტებს